წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრ. № 16, მეორე სართული
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76, რედაქტორის მოად. 23-17, მდივნის . . . . . 10-58, მახარო განყოფილ. 22-44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი: 1 თვით 1 მანეთი, 1 წლით—12 მან. ცალკე თვეში 1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17-55

განცხადების ფასი: საჭართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამკლავიანი განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტა“-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (სოფლად ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 8 წლის თავი ბიბლიოთეკა

პარასკევი, 22 იანვარი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 19 (3273) ფასი 5 კაპ.

„ლენინის დროშით გავიმარჯვებთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლებში. ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში“ (სტალინი)

„ლენინურ საგზიდან გადახრებთან ბრძოლაში გაიგარდა და გაიმაგრა ჩვენი პარტია. გადახრებთან ბრძოლაში გამოსჭედა მან თავისი რიგების ლენინური მთლიანობა“ (სტალინი)

გავსწიოთ წინ. ახალ გამარჯვებისაკენ

შესრულდა 8 წელი ამხ. ლენინის გარდაცვალებიდან.

ლენინის პარტია, რომელიც 1924 წლიდან ლენინის უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე, მაგრამ ლენინიზმით შეიარაღებული ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით განაგრძობს ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აგებისა და მსოფლიო ოქტომბრისათვის, ამ 8 წლის განმავლობაში უდიდესად გაიზარდა და განმტკიცდა. ბოლშევიკური პარტიულობის საფუძველზე, პარტია და მუშათა კლასი მჭიდროდ დაირაზმენ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ლენინურ ცეკას გარშემო, პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის.

ბრძოლა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სოციალიზმის და კაპიტალიზმის ელემენტებს შორის, უკვე დასასრულს უახლოვდება. სოციალიზმის პერიოდში შესვლასთან დაკავშირებით ჩვენ მოვიპოვეთ უდიდესი, მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი და, ჩვენი ქვეყნის შინაგან ძალთა ურთიერთობის თვალსაზრისით საბოლოოდ და მთლიანად უზრუნველყყეთ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვება. ლენინის მიერ დასმული საკითხი — „ვინ—ვის“, სოციალიზმი დასძლევს კაპიტალიზმს, თუ ეს უკანასკნელი სოციალიზმს, ჩვენმა პარტიამ გასულ წელში გადასწყვიტა საბოლოოდ და სოციალიზმის სასარგებლოდ, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში.

ლენინის პარტია, ამხ. სტალინის თეორიული და პრაქტიკული ხელმძღვანელობით, ოქტომბრის რევოლიუციის და ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე კონკრეტულობის და მოელენათა ჯაჭვში უმთავრესი რგოლის გამონახვის ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით, ახერხებდა რევოლიუციის მიმდინარე საკითხებია წამოყენებას, მის გარშემო პარტიის და პროლეტარიატის ბოლშევიკური მობილიზაციას და ამ საკითხების სოციალიზმის სასარგებლოდ გადაჭრას. ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით განაგრძობს ბრძოლას ლენინური პრინციპების ბოლშევიკური გაგების და კონკრეტულ პირობებში მისი სწორად გამოყენების საფუძველზე, 1930 წლის დაწყისისათვის პარტიამ შესძლო მომზადებია, მოეწყო და გაეშალა, მთელ ფრონტზე სოციალისტური შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში. 1930 წელში ჩვენი ქვეყანა გადავიდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალ, უკანასკნელ ეტაპზე, ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში.

უდიდესი, მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის როლი გაშალა სოციალისტური შეტევის მოწყობის საქმეში მიუძღვის ამხ. სტალინს, რომელმაც მარქსიზმ - ლენინიზმის ღრმა ცოდნის და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, მე-16 პარტყრილობაზე მოგვცა ამ შეტევის მომზადების, მოწყობის და გაშლის ღრმა თეორეტიული ანალიზი და სწორი მარქსისტულ - ლენინური პროგნოზი.

დღეს პარტიას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობის შედეგები. ჩვენ წარმატებებით ვანხორციელებთ 5 წლიან გეგმას 4 წელში, ზოგიერთ დარგებში კი იგი შეესრულეთ 2—3 წელში. საბჭოთა კავშირმა დაამთავრა სოციალიზმის საფუძველის აგება. უმთავრეს სასოფლო - სამეურნეო რაიონებში ძირითადად უკვე დამთავრებულია კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის, ლიკვიდაცია.

გაქრილი წლები წარმოადგენდა ბოლშევიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების და მუშათა კლასის რევოლიუციონური აქტიურობის ზრდის წლებს. 1918 წლის მანძილზე, იდეურად და ორგანიზაციულად გაიზარდა და განმტკიცდა საერთაშორისო ბოლშევიზმის პარტია, კომუნისტური ინტერნაციონალი. 48 სექციის ნაცვლად, რომელიც კომინტერნს 1924 წლის დასაწყისში გააჩნდა, დღეს იგი აერთიანებს 62 სექციას.

ლენინის პარტიის ეს გამარჯვებანი, როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის, ისე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფრონტზე, მოპოებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პარტია და პროლეტარიატი, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ „ლენინიზმი წარმოიშვა, გაიზარდა და განმტკიცდა ულმობელ ბრძოლაში ყველა ჯგუფის ოპორტუნიზმთან“ (სტალინი), ლენინის სუკეთესო მოწაფის და თანამებრძოლის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, აწარმოებდა და აწარმოებს დაუნდობელ, თანმიმდევარ და შეურიგებელ ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, ბრძოლას ორ ფრონტზე — ახლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის — მემარჯვენე ოპორტუნიზმის, „მემარცხენე“ გადახვევების, მათდამი შემარიგებლობის, კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის კონტრაბანდისტების, ყველა ჯგუფის ცენტრიზმის, და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ, როგორც საკავშირო კომპარტიაში, ისე კომინტერნის სხვა სექციებში.

ჩვენი პარტია გაიზარდა და განმტკიცდა. მისი ავტორიტეტი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების და მსოფლიო პროლეტარიატის თვალში შეუყყეველია. ეს ავტორიტეტი ღღითი - დღე იზრდება და მტკიცდება. ლენინის დღეებთან დაკავშირებით, პარტიაში მოდიან დამკვრელი მუშების და კოლმეურნეების ახალ - ახალი რაზმები. ეს გარემოება თანდათან უმძლებს კლასიურ მტრებს ჩვენი პარტიის შიგნით, პარტიის გენერალური ხაზის და ლენინიზმის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას. ამიტომაა, რომ ლუკაცები და ვოლოსევიჩები ცდილობენ ფარულად, კონტრაბანდისტულ ფორმებში გააპარონ კონტრრევოლიუციონურ - ტროცკისტული იდეები და საკუთარი არხირეაქციონური აზრები მოავარაყონ „მემარცხენე“ ფრაზებით.

ნიღაბაფარებულ, კლასიური მტრების ასეთ გამოსვლას უკანასკნელად გამანადგურებელი პასუხი გაეცა ამხ. სტალინმა თავის წერილში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“. ამ წერილში, ამხ. სტალინმა გამოაშკარავა ტროცკისტულ კოატრაბანდისტების და ფალსიფიკატორების სახე, კერძოდ სლუცკის სახე, „როგორც მეშევიკის, როგორც ნიღაბაფარებული ტროცკისტის“. ამხ. სტალინის ეს წერილი, რომელიც წარმოადგენს ლენინური შეურიგებლობის და ბოლშევიკური პარტიულობის საუკეთესო ნიმუშს, სამართლიანად ამაღვილებს პარტიული მასების ყურადღებას ბოლშევიზმის ისტორიის საკითხებისადმი, ზოგიერთი „ლიტერატორის“ და „ისტორიკოსის“ ცდებს წინააღმდეგ, იომ მენშევიკურ-ტროცკისტულად დაამახინჯოს ბოლშევიზმის ისტორია და „ჩვენს ლიტერატურაში კონტრაბანდით შეაპარონ ნიღაბაფარებული ტროცკისტული ხლამი“. ამგვარ ცდებს „ბოლშევიკებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ“ (სტალინი), ძირშივე უნდა გამოაშკარაონ და ნიღაბი ჩამოაგლიჯონ პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორებს.

ამხ. სტალინი, ლენინთან ერთად, და მისი სიკვდილის შემდეგ, მუშაობდა და მუშაობს ლენინის პარტიის ხელმძღვანელის პოსტზე, აგრძელებს ლენინის გზას. ლენინის სიკვდილის შემდეგ, ამხ. სტალინი, ლენინიზმის პრინციპების საწმინდისათვის, ბოლშევიკური შეურიგებლობის პოზიციებზე, ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მოძრაობას წინ — სოციალიზმისაკენ, ბრძოლას ლენინიზმის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

ამხ. სტალინის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან ყოველგვარი ჯგურის ოპორტუნიზმის შეღრეტებისაგან დაიცვა ლენინიზმი, გაიაზითარა და ახალ ეტაპზე აიყვანა იგი. ამხ. სტალინი, როგორც მარქსიზმ - ლენინიზმის უდიდესი თეორეტიკოსი, დღეს წარმოადგენს პარტიის თეორეტიული მუშაობის ორგანიზატორს და მეთაურს.

პარტია, მუშათა კლასი, საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინიზმის დროშის ქვეშ, კიდევ უფრო მტკიცედ და შემჭიდროებული რიგებით გასწევს წინ, 5 წლედის 4 წელში შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის; 1932-33 წელში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ძირითადად დამთავრებისათვის, მეტი ლითონის, თუჯის, ქვანახშირის, რკინის და ფოლადისათვის, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, მსოფლიო ოქტომბრისა და მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვების სათვის ბრძოლაში.

ლენინის დღეები უნდა ჩატარდეს ბუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ლოზუნგით

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიმართვა ყველა პარტორგანიზაციებისადმი

მოსკოვი, 22 იანვარი. ლენინის გარდაცვალების მერვე წლისთავთან დაკავშირებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა ლენინის დღეებში ჩატარებულ იქნას პარტაქტივების, მუშათა და კოლმეურნეთა მასების, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების კრებები. კრებებზე გაშუქებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიღწევები ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტების ბრძოლაში ლენინის ანდერძისა და მითითებების საფუძველზე. ლენინის დღეებში საჭიროა მშრომელთა დარაზმვა ისეთი ამოცანების გარშემო, როგორიცაა: ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება 1932 წელს; საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ძირითად დამთავრება 1932-33 წელს და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია; ქვანახშირის მრეწველობის, მეტალურგიის, მაღნეთის მშენებლობის, ტრანსპორტის და ქიმიის აღორძინება და ბრძოლა საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. საჭიროა მოუწოდოთ მუშებს და კოლმეურნეებს კიდევ უფრო შეამეიდროვონ რიგები პარტიის გარშემო, რომელსაც ლენინურ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიჰყავს მშრომელნი მათი მდგომარეობის საფუძვლიანად გაუმჯობესებისაკენ, გლეხობის სრული განთავისუფლებისაკენ კულაკობის ექსპლოატაციისაგან — კომუნიზმის სრულ გამარჯვებისაკენ. პარტორგანიზაციებმა უნდა მოუწოდონ პარტიის რიგებში შესასვლელად ჭარხნების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების საუკეთესო დამკვრელებს, რომელთაც გამოიჩინეს თავი, როგორც ლენინის საქმისთვის მტკიცე და შეგნებულმა მებრძოლებმა.

მთავარი ლოზუნგებია: „ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, — სოციალისტურ საზოგადების წარმატებით აშენებისათვის „შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის“ (ლენინი). შრომის სადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის. მეტი ქვანახშირი, ლითონი. მანქანები. საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. 1932-33 წელს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ძირითადად დამთავრებისათვის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთელს საბჭოთა კავშირში.

„ადამიანთა შემოწმება, საქმისფაქტიურად შესრულების შემოწმება — ამაშია, კიდევ ერთხელ ამაშია და მხოლოდ ამაშია მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის დედა აზრი“. (ლენინი). პარტიულ და კომკავშირულ მასებს ლენინური აღშფოთებისათვის, ყველა ქვეყნის მუშათა ძმური კავშირისათვის. პროლეტარებო, იბრძოლეთ ლენინური კომინტერნის დროშის ქვეშ. ლენინის პარტიის სიწმინდისა და სიმტკიცისათვის, ოპორტუნიზმისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. მაღლა დაიჭირეთ ლენინის დროშა, ვინაიდან მხოლოდ მას მოაქვს მშრომელთათვის სრული განთავისუფლება“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში

მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალური მშენებლობა **21 მილიარდი** მანეთის დაბანდება.

24 ბრძედის ამუშავება;

სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1931 წლთან შედარებით **36 პროცენტით**;

90 მილიონ ტონა ქვანახშირის ამოღება;

9 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობა;

9,5 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობა;

6,7 მილიონი ტონა დატკეცილი **სპილენძის** გამოშვება;

17 მილიარდი **კილოვატ - საათი ელექტრო-ენერგიას**;

6.8 **მილიარდი** მანეთის მანქანების გამოშვება, აქედან 940 მილიონი მანეთის სასოფ. სამეურ. მანქანების;

82.000 ტრაქტორის გამოშვება;

73.000 ავტომობილის გამოშვება;

1.300 ოთხძრავიანის გამოშვება;

50.000 საქონლის ვაგონის გამოშვება;

3.061 მილიონ მეტრი ბამბის ქსოვილის გამოშვება;

91,5 მილიონი ფუთი ფეხსაცმელის გამოშვება;

ერთი მილიარდი ქილა კონსერვის გამოშვება;

სამრეწველო მუშათა შრომის ხელფასის გადიდება 11 პროც.-ით და რკინიგზელების— 13 პროც.-ით;

შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში 22 პროც.-ით.

1.700 ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობა;

144 მილიონ ჰექტარი ფართობის დათესვა;

2.437 ათასი ჰექტ. დათესვა ბამბით

2.560 ათასი ჰექტ. დათესვა სელით;

1.670 ათასი ჰექტ. დათესვა ჭარხლით და სხვ.

ლენინიზმის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაა.

ლენინის ახალი დოკუმენტი ტროცკიზმზე

იუდა ტროცკის უტიფრობის შესახებ

მოსკოვი, 21 იანვარი. (საკ. კორ. სპ.) სათაურით „იუდუშკა ტროცკის უტიფრობის შესახებ“ აქვეყნებს ლენინის დოკუმენტს, რომელიც ეკუთვნის 1911 წელს და იძლევა ტროცკის მოკლე, მაგრამ მკვეთრ დახასიათებას.

„ლენუშკაზე თუდუშკა ტროცკი ილაშქრებდა ლიკვიდატორობის და ოტზოვიზმის წინააღმდეგ. ფიცულობდა, რომ იგი პარტიულია ღიბულობდა სუბსიდიას.*) პლენუმის შემდეგ ცენტრალური კომიტეტი შესისტემატიკა. გაძლიერდნენ ვპერიოდელები — გაჩინეს ფული. გავაერთიანეთ ლიკვიდატორები, რომელნიც „ნაშა ზარიაში“ სტოლიპინის წინაშე სახეში აფურთხებდნენ არალეგალურ პარტიას.

იუდუშკამ „პრავდა“-დან გააძევა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი**) და დაიწყო ლიკვიდატორული წერილების წერა „ფორვერტს“-ში. მიუხედავად იმ სასკოლო კომისიის პირდაპირი გადაწყვეტილებისა, რომელიც დანიშნა პლენუმმა და, რომელმაც დაადგინა, რომ არც ერთი პარტიული ლექტორი არ წასულიყო ვპერიოდელების ფრაქციულ სკოლაში, იუდუშკა ტროცკი მაინც გაემგზავრა იქ და იხილავდა ვპერიოდელებთან ერთად კონფერენციის მოწყობის გეგმას. ეს გეგმა ახლა „ვპერიოდ“-ის ჯგუფმა გამოაქვეყნა ფურკლის სახით, და აი, ეს იუდუშკა გულში იცინის ხელს, გაჰყვირის თავის პარტიელობაზე და გვარწმუნებს, რომ იგი არ ხოხავდა ბუცელზე ვპერიოდელებისა და ლიკვიდატორების წინაშე“.

*) „პრავდა“-ს შენიშვნა: „ღებულობდა სუბსიდიას ცენტრალური კომიტეტისაგან“. ეთომდა არა ფრაქციულ გაზეთ „პრავდა“-ს [illegible], რომელსაც ის რედაქტორობდა“.

**) „პრავდა“-ს შენიშვნა: „ეს წარმომადგენელი იყო კამენევი, რომელიც პლენუმზე იცავდა „გაერთიანებას ტროცკისთან“.

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვში

მოსკოვი, 21 იანვარი. (საკ-კორ.—ელვა) დღეს საღამოს 7 საათზე დიდ თეატრში შესდგა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების და დამკვრელ მუშების სამგლოვიარო კრება. თეატრი გაჭედილია ხალხით. ალმართულია სცენაზე ლენინის დიდი ბიუსტი, რომელთანაც დგას კურსანტთა სპატიო ყარაული. პრეზიდიუმის მაგიდასთან ლენინის ერთგული მოწაფეების გამოჩენას ამხ. **სტალინის მეთაურობით** კრება ხანგრძლივი ოვაციით ხვდება. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კალინინმა** რომელმაც სხვათაშორის

სხვოვას წარმოადგენს მისი კომუნისტური პარტია. რვა წელის განმავლობაში საბჭოთა კავშირის პროლეტარული გლეხობა არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით ანხორციელებდენ თავიანთ ამოცანებს კომპარტიას ხელმძღვანელობით და ამით აჩქარებდენ კომუნიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში.

მოკვდა ლენინი, გაუმარჯოს ლენინიზმს ასე დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. კალინინმა.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა გაათლების სახალხო კომისარი ამხ. [illegible]

იზრდება და ძლიერდება ლენინიზმის მსოფლიო არმია

უცხოეთის კომპარტიების წარმომადგენლები ლენინის შესახებ

პიერის [illegible]
კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი

დღეს საფრანგეთის მუშები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ლენინის ხსოვნისადმი.

ლენინის უდიდეს რევოლიუციონურ მუშაობას 1905 წლიდან იცნობდა საფრანგეთის მხოლოდ პოლიტიკურად დარაზმული მუშათა განსაზღვრული წრე. მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ სწრაფად განვითარდა და გაიზარდა ლენინის მასიური პოპულიარობა. მისი მოწოდება რევოლიუციონური ბრძოლისაკენ, როგორც ერთად-ერთ ისეთ საშუალებისაკენ, რომელიც ბოლოს მოუღებდა საზიზღარ ომს და გაანთავისუფლებდა პროლეტარიატს, ბურჟუაზიული ცენზურის სისასტიკის მიუხედავად თანდათან შეიჭრა მასებში.

ციმერვალდის კონფერენცია 1915 წელს და კინტალის კონფერენცია 1916 წელს, რომლებზედაც ლენინი თამაშობდა თვალსაჩინო და პირველხარისხოვან როლს, წარმოადგენენ ნამდვილ საგანგაშო ყიჟინს, რომლის ხმა წვდებოდა საფრანგეთის მეტად შორეულ კუთხეებს. თუმცა საფრანგეთის წარმომადგენლებმა ამ კონფერენციაზე: სონ დოკალისტებმა—ბურდერონმა და მერხეიმ, სოციალისტებმა — ბრიზონმა. რაფან-დიუენმა და ალექანდრ ბლანმა შეარბილეს და დაამახინჯეს ამ კონფერენციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, მაგრამ ლენინის წინადადებები საყოველთაოდ ცნობილი გახდა, მისი ხმა ყველამ გაიგონა.

პარიზის სამეურვალო სახელოსნოების მუშა-ქალების გაფიცვა 1917 წელს და შამპანის ფრონტზე ჯარების ამბოხება წარმოადგენენ მკაფიო გამოხატულებას მასების ნებისყოფისა, რომელიც მიმართული იყო ომის წინააღმდეგ—რევოლიუციონური ბრძოლისათვის, ლენინის ლოზუნგების საფუძველზე.

ეს გამოსვლები თავიანთი სიმძლავრით საგრძნობლად აჭარბებდნენ „კინტალის 3 პილიგრიმის“ პაციფისტურ აგიტაციას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ ერთგვარი დახმარება გაუწიეს ანტისამხედრო მოძრაობის შექმნისა და განვითარების საქმეს.

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მიმართულ მასიური მოძრაობის ჩასაკრობად საჭირო შეიქმნა იმ სოციალ-დემოკრატიის მთელი აქტივობა, რომელმაც „სამღვთო კავშირი“ შეკრა ბურჟუაზიასთან, შრომის კონფედერაციის სოციალისტური პარტიების ბელადების დაუნდობელი გამცემლობა და, ბოლოს, მერხეინის სრული კაპიტულიაცია კლემანსოს წინაშე. მაგრამ ძლევამოსილმა ოქტომბრის რევოლიუციამ, ლენინმა და ბოლშევიკური პარტიის უდიდესმა როლმა რევოლიუციის მომზადების, მის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანის—მუშათა და გლეხთა მასების გამარჯვების საქმეში გადააქციეს ლენინი საერთაშორისო პროლეტარიატის უდაო ბელადად პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

მასების სიმპატია ოქტომბრის რევოლიუციისა და მისი ბელადის ლენინისადმი ვერ შეარყია ვერც საზიზღარმა ცილისწამებამ და ვერც ბურჟუაზიის და მისი მოკავშირე სოციალ-დემოკრატიის გააფთრებულმა შეტევამ. სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ბელადები დიდხანს ვერ ბედავდენ პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას. ისინი სთხზავდენ ჭორებს კომპარტიის ხელმძღვანელობის, კერძოდ მისი ბელადის ლენინის, წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ლენინმა ოქტომბრის დაუნდობლად გამომძღვანეს სოციალ-დემოკრატების გამცემლური როლი, მათ საბოლოოდ ჩამოიხადეს ნიღაბი 1920 წელს ტურში შემდგარ კონგრესზე.

სწორედ ამ კონგრესზე აშკარად საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

ამჟამად ყოველგვარი საზიზღარი კამპანიების და ბურჟუაზიის, აგრეთვე მისი მოკავშირე სოციალ-დემოკრატიის ცილისწამების მიუხედავად, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მიღწეული უდიდესი გამარჯვებანი აღფრთოვანებას ბადებს საფრანგეთის პროლეტარიატში. რომელიც თავდადებულია თავის პროლეტარულ სამშობლოს—საბჭოთა კავშირისათვის.

ლენინის გაკვეთილებმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო. საფრანგეთში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, კომუნისტური პარტია

ვილჰელმ პიკი
კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი

ლენინის გარდაცვალების 8 წლის თავზე მთელი სიცხადით აშკარავდება მისი მოძღვრების სრული სისწორე. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა. მსოფლიო მასშტაბით კომუნისტური მოძრაობის წარმატებები და მისი განვითარების მთელი მიმდინარეობა სავსებით ადასტურებენ ლენინის მოძღვრების სისწორეს. ამიტომ ლენინის გარდაცვალების წლის თავი უნდა გადაიქცეს ნამდვილ მარქსიზმ - ლენინიზმისათვის ბრძოლის დღედ. ამ ბრძოლის ლეიტ-მოტივი უნდა იყოს ამხ. სტალინის სიტყვები, რომ ლენინიზმს. როგორც ინტერნაციონალურ მოვლენას, აქვს ფესვები არა მარტო რუსეთის, არამედ მთელ საერთაშორისო მასშტაბით. საერთაშორისო პროლეტარიატს ამ მნიშვნელოვანი ბრძოლისათვის უნდა აუხსნას ამხ. სტალინის მიერ მოცემული განზრახება, რომ ლენინიზმი წარმოადგენს იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციების ეპოქის მარქსიზმს.

გერმანიის კომპარტია, რომელიც მტკიცედ სდგას ლენინიზმის ნიადაგზე, კომინტერნის ხაზის განუხრელად და თანამიდევრობით ცატარებით წაიყვანს გერმანიის მუშათა კლასს ახალი ბრძოლებისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ. ამით ჩვენ ყველაზე უფრო პატივს ვსცემთ ჩვენი უდიდესი ბელადის და მასწავლებლის ხსოვნას.

სს ჯაბანიანი
კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე ჩვენ სიამაყით ვიგონებთ მის რევოლიუციონურ მუშაობას და მის როლს კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნაში. იაპონიაში გადაჭარბებულია ლენინის მრავალი თხზულება, ამ თხზულებებს კითხულობენ მუშები და გლეხები. მაგრამ იაპონიის პროლეტარებისათვის ლენინი უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს რევოლიუციონურ ბელადს, რომლის მოძღვრების განხორციელებას ისინი ცდილობენ თავიანთ ყოველდღიურ რევოლიუციონურ მუშაობასა და ბრძოლაში.

კომინტერნის მეორე კონგრესზე ლენინმა სთქვა, რომ რევოლიუცია მოითხოვს მსხვერპლს. იაპონიის კომპარტიამ სწორად გაიგო ამ სიტყვების აზრი და შესძლო გამოეტანა მისგან სათანადო დასკვნა თავის მუშაობასა და ბრძოლაში.

8.000 კომუნისტზე მეტი მოთავსებულია საპატიმროებში იმ დაუღალავი მუშაობისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ საპატიმროს კედლების გარეშე მყოფ ამხანაგებთან ერთად—მასიური დაპატიმრება ხშირად აშორებს ჩვენს რიგებს აქტიურ მებრძოლთ, მაგრამ პარტია სასწრაფოდ ავსებს ამ დანაკლისს. ყოველგვარი დევნის მიუხედავად, კომპარტია ხდება მასიურ პარტიად, იზრდება მისი გავლენა ფართო მასებს შორის. იაპონიის კომპარტია ენერგიულად იბრძვის იაპონის მბრაცბლური იმპერიალიზმის მიერ მანჯურიაში წარმოებული სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ. თავის აგიტაციასა და პროპაგანდაში ის ატარებს სწორ ლენინურ ხაზს და თავის მუშაობას უთანხმებს ჩინეთის კორიის და თორმოსის კუნძულების კომპარტიების მუშაობას.

თავის პროპაგანდასა და აგიტაციაში ის არ ივიწყებს დაიცვას საბჭოთა კავშირი—საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლო.

გაუმარჯოს ლენინს და ლენინიზმს!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შევძლოთ ქვეყანახშირი, ღითონი, მანქანები საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის ანდერძის საფუძველზე სოციალისტური შეტევის 10 წელი

8 წლის წინად მოკვდა ლენინი. თითქმის 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი უკანასკნელად გამოვიდა პოლიტიკური ასპარეზიდან მე-11 ყრილობაზე და განაცხადა, რომ შეწყდა უკან დახევა, რომელიც პარტიამ დაიწყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით. მაგვარად სრულდება 10 წელიწადი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძველზე ჩვენი სოციალისტური შეტევის დასაწყისიდან. მე-11 ყრილობისათვის ჩვენი მრეწველობა იძლეოდა ომის წინა დროის პროდუქციის დაახლოვებით ერთ მეოთხედს. ამჟამად, 10 წლის შემდეგ, ჩვენ უახლოვდებით ომის წინა დროის პროდუქციის გამოშვებას, სად და როდის უნახავს მსოფლიოს ასეთი ტემპები!

წვრილი დაქსაქსული ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა განსაზღვრავდა სოფლის სახეს, საგრძნობლად მთელი ჩვენი ქვეყნის სახესაც. ახლა კოლმეურნე გახდა სოფლის ცენტრალური ფიგურად, საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენად სოფელში. ბევრად გადავაჭარბეთ ციფრს— 100.000 ტრაქტორს, რომელსაც ლენინი უკავშირებდა გლეხობის გადასვლას „კომუნიზმიზე“.

ლეკციი მე-11 ყრილობაზე ამბობდა, რომ ჩვენ მოგველის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა რუსეთის კაპიტალიზმთან, რომელიც იზრდება წვრილ გლეხურ მეურნეობათან და რომელსაც „ი მხარს უჭერს. ეს ბრძოლა გაჩაღდა უკვე ლენინის სიკვდილის შემდეგ, როცა პარტია ამბ. სტალინის წინადადებით გადავიდა კულაკობის შეზღუდვა და შეიჭრა ქალაქის ლიზუნგებად მისი ლიკვიდაციის ლოზუნგზე. ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის ჩვენი ქვეყნის შიგნით დასასრულს უახლოვდება. ლენინის მიერ დასმული საკითხი „ვინ-ვის“ უკვე გადაწყვიტა პარტიამ და ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ამბ. სტალინის მითაოურობით. სოციალიზმის სრული გამარჯვება უზრუნველყოფილია.

მტერი ცდილობდა ებრძოლა ლენინურ პარტიასთან არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც თავისი ტროცკისტული, მემარჯვენე-ოპორტუნისტული აგენტურის დახმარებით. ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პარტიამ გაანდგურა ტროცკიზმი, რომელსაც მოავალი წლების განმავლობაში ებრძოდა ლენინი მაშინაც კი, როცა იგი წარმოადგენდა ფრაქციას მენშევიზმის შიგნით, და მაშინაც, როცა ტროცკიზმი, რომელმაც ორგანიზაციული კავშირი გაწყვიტა მენშევიზმთან შეხედულებანი, დროებით გადაიქცა ფრაქციად ბოლშევიკური პარტიის შიგნით, თუმცა იგი ყოველთვის კვლავ მენშევიზმისაკენ მიიწევდა. ლენინმა მე-10 ყრილობაზე გაატარა დადგენილება ფრაქციის აკრძვის შესახებ, რაც მიმართული იყო ტროცკისტების, ანარქო-სინდიკალისტური გადახრის და მუშათა ოპოზიციის წინააღმდეგ შლიაპნიკოვის, მეთაურობით, რომლის პარტიიდან გამორიცხვის წინადადებას იძლეოდა ლენინი ამ დადგენილების ძალით. ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტია განაგრძობდა ბელადის მიერ წარმოებულ ბრძოლას. მან გააძევა ტროცკისტები, რომელნიც თავიანთ მენშევიკურ სპობიზმურს დაუბრუნდნენ. ტროცკიზმის შემდეგ პარტიამ გაანადგურა მემარჯვენე ოპორტუნიზმი. იმარჯვებს და გაიმარჯვებს ლენინური პარტიის გენერალური ხაზი, მხოლოდ ამ ხაზის საფუძველზე, მხოლოდ უღმობელი ბრძოლით ოპორტუნიზმთან ორ ფრონტზე, რომელსაც ლენინი მთელ სიცოცხლეს შეუთრგებლად ეომებოდა, მიღწეულ იქნა ნამცარალისტური შეტევის ამ 10 წლის უმაგალითო წარმატებანი.

რაც უფრო დიდია და უფრო ნათელი ეს წარმატებანი, რაც უფრო უახლოვდებით სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებას, მით უფრო დიდია ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის ამბ. სტალინის მითაოურობით. სოციალიზმის სრული გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ჩვენი შევიდოთ სოციალიზმის პერიოდში, პარტიის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანები. 1932-33 წელს ძირითადათ დამთავრდება სოფლის მთლიანი კოლექტივიზაცია. პროლეტარიატი და მშრომელთა უფართოები მასების მობილიზაცია 5-წლედის უკანასკნელი დამამთავრებელი წლის პროგრამის შესასრულებლად ამბ. სტალინის მიერ მოცემულ მითითებათა ფარგლებში, ასეთი წესით მუშაობის შესახებ ამბ. სტალინის მიერ მოცემულ მითითებათა ორგანიზაციის წინააღმდეგ. „მემარცხენეს“ ოპორტუნიზმი კვლავ ეხმარება მემარჯვენეებს გაბერილი გეგმების შედგენით, კოლექტივიზაციის გაბერილი ციფრების გამოდენებით, სოფლად მასიური ბუშობის მაგიერ ადმინისტრატიული მეთოდების გამოყენებით, გათანაბრების და გაუპირობების დაცვით. სოციალისტური მშენებლობის მასშტაბების უარღვევად გაფართოება, ჩვენი მტრების მიერ ბრძოლის უფრო რთულ და ოსტატურ ხერხების გამოყენება (ფარული მაგნებლობა, იდეური კონტრაბანდა და სხვ.) მთელი სიმწვავით აყენებენ საკითხს მუშობის გაწელის შესახებ პარტიული მასების მარჯვნის-ტულ-ლენინური აღზრდისა, ჩვენი პარტიული კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერებისათვის.

როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისი მძინარებს, როდესაც ერთად ერთი გზა კრიზისიდან გამოსახელდებად მახვილისათვის არის ლენინური რევოლიუციური გზა,—ამ დროს ტროცკისტული კონტრაბანდისტები ტყუილად კი არ ცდილობენ შეიჭრან მასებში, ტყუილად კი არ ცდილობენ შეიჭრან კომპარტიებში, (გამოტოვებულია) ტყუილად კი არ ცდილობენ შეარყიონ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური თეორია.

ამბ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ ამხილა და კვლავ ამხილებს ტროცკისტულ კონტრაბანდისტებს, რომელნიც ცილის წამებენ ლენინს, პარტიას და მის ხელმძღვანელობას. (გამოტოვებულია)... გავაძლიეროთ პარტიული აქტივის ლენინური მოშზა დება, უფრო მაღლა ავსწიოთ მისი იდეურ-პოლიტიკური დონე.

განვლო ლენინის ანდერძის მიხედვით განვლილი სოციალისტური შეტევის 10-მა წელმა ლენინს პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც სათავეში უდგას ბოლშევიკების სოციალისტურ რევოლიუციას. საბჭოთა კავშირი უკვე გადაქცა ამ რევოლიუციის შეურყეველ ციხე-სიმაგრეთ. ჩვენ საქმეებით უზრუველყოფთ სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანის შიგნით ლენინის და ლენინიზმის დროშით. ლენინიზმი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოშიც.

„პრავდა“, 21 იანვარი.

ლენინიზმის მსოფლიო პარტია

„ფიცსა ვსდებთ შენს წინაშე, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მთელი ქვეყნის მშრომელთა კავშირი—კომუნისტური ინტერნაციონალი“. (სტალინი).

მსოფლიოს 62 ქვეყანაში არსებობენ კომუნისტური ინტერნაციონალის სექციები. ლენინის მსოფლიო პარტია 62 ქვეყანაში აწარმოებს ბრძოლას, რაზმავს და ამეცდრობებს მშრომელთა მასებს საბრძოლველად. ბოლშევიკებმა შეასრულეს თავიანთი ალთქმა, რომელიც მათ ამბ. სტალინის პირით დასდვეს ან. ლენინს კუბისთან. კომუნისტური ინტერნაციონალი გაიზარდა და განმტკიცდა. უდიდეს იმპერიალისტურ ქვეყნებში, სუსტებისა და ჩაგრულთა ქვეყნებში, დამარცხებულ და დამოკიდებულ ქვეყნებში, იმპერიალისტების კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში უკვე ყველგან არსებობენ მსოფლიო ბოლშევიზმის მებრძოლი რაზმები.

როდესაც ლენინი გარდაიცვალა, კომუნისტური ინტერნაციონალის ირიცხებოდა 46 სექცია, ამჟამად კი მათი რიცხვი 62-ს უდრის. კომუნიზმმა მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ახალ ქვეყნებში. აჟამად კომუნისტური ინტერნაციონალის სექციები მეთაურობენ რევოლიუციონური მუშათა მოძრაობას მსოფლიოს ყველა ქვეყნებში და აწარმოებენ ბრძოლას ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის მსოფლიოს ყველა ქვეყნებში და ანარქო-სინდიკალისტური დემაგოგიის წინააღმდეგ. ბრძოლა ამ ორ ფრონტზე ხორციელდება ლენინის ცნობილ დებულებას: „რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს ზოგიერთი თავისებურებით მოწინავე ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მეტად დიდი ჩამორჩენილობისა და წვრილ-ბურჟუა ზიოლების გამო. მაგრამ ძირითადი ძალები —და ხაზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ფორმები—რუსეთში იგივე, რაც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ვინაიდან ეს თავისებურებანი ყოველი შემთხვევაში არ შეიძლება იხებოდეს ყველაზე მთავარის“. (ტ. 16, გვ. 348).

ლენინიზმი, რომელიც გამოვიდა, როგორც ინტერნაციონალური მოვლენა, იმ თავდაპირველი სთავეში ჩაუდგა ბრძოლას ოპორტუნიზმსა და რეფორმისტიზმთან ინტერნაციონალური მასშტაბით. ამიტომ ტროცკისტულ-ტრატრევოლიუციონური ცილისწამება ლენინის წინააღმდეგ სლუკის მტკიცება. თითქოს ლენინი 1914 წლის ომამდე არ აწარმოებდა ბრძოლას კაუცკის და სხვების ცენტრისტულ-შემარგებლური ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ლენინის ერთგულება ეჭვ ქვეშ დასმა მოწოდებ ამბ. სტალინმა თავის ისტორიულ წერილში „პროლეტარიატის რევოლიუცია“-ს. რაკი ქაუცკის მიერ ამხილება სოციალის და მისი მსგავს „მემარცხენის“ გამოსვლის კონტრრევოლიუციონური ხასიათი, ამხილა ასეთი კონტრაბანდისტების მიმართ დამპალი ლიბერალიზმის გამოჩენის მთელი მავნებლობა და ამით გააძლიერა ბრძოლა შეიარაღებული სოციალიზმის ბრძოლის ლენინიზმის სიწმინდისათვის.

ცნობილია, რომ ტროცკი, ზინოვიევი და სხვები ე.წ. „ახალი ოპოზიციიდან“ ლენინიზმს ზღუდავდნენ რუსეთის რევოლიუციის ნაციონალური ფარგლებით, რომელიც დაკავშირებული იყენებ იმ იოსეთის სინამდვილის თავისებურებებთან, სადაც სჭარბობდა წვრილ-სასაქონლო გლეხური მეურნეობა. ლენინის საუკეთესო და ერთგულმა მოწაფემ ამბ. სტალინმა გაიცნობიერა ლენინიზმის ეს ნაციონალური შეზღუდულობის „თეორია“, რომლის მიზანი იყო სახელი გაეტეხა ლენინიზმის დროშისათვის მსოფლიო მუშათა მოძრაობაში, რომ ნიადაგი გაეწმინდა კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმისათვის.

ამბ. სტალინი არ უარყოფს რა რუსეთის რევოლიუციის თავისებურებებს და ლენინიზმის მიერ მათი უსათუო მხედველობაში მიღებას აღნიშნავდა ძირითადს, მთავარს. სახელდობრ, რომ: ლენინიზმი არის „იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის ეპოქის მარქსიზმი. ლენინიზმი არის მარქსიზმის განვითარება ახალ პირობებში“—მავნებლობს. ტერორის და საბოტაჟის არსებობის უკანასკნელი დღეები დითვალისწინებ, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ისინი უკვე კოლექტივიზაციის ძნელია და მთელი ანი კოლექტივიზაციის გაწელასთან ერთად დანარჩენ რაიონებშიაც მოხდება მათი ლიკვიდაცია საბოლოოდ.

როგორი შედეგები აქვთ ყველა ქვეყნის კაპიტალისტებს? ულრმესი ეკონომიური კრიზისი, რომელმაც მოიცვა ყველა კაპიტალისტური ქვეყნები, კრიზისი, რომელმაც მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგები, მრეწველობაც, სოფლის მეურნეობაც და ფინანსებიც, ქრონიკული კრიზისი, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმავდება, კრიზისი, რომელიც უქმადის კაპიტალიზმს მაზლობელ და აუცილებელ აღსასრულს.

***

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში არის ჩვენი პარტიის სწორი გენერალური ხაზის გატარების შედეგი. ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის საფუძველს წარმოადგენს ლენინიზმი. ამიტომ დიდი ბელადის გარდაცვალების წლისათვის აღნიშვნის დროს არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ სხვადასხვა ჯგუფის ოპორტუნიზმის საკითხს, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების საკითხს. ეს მით უფრო საჭიროა აშკარად, რომ ყოველგვარი ლუღუცები და ვოლოსევიჩები და ტროცკისტები და მენშევიზმის და მათი მსგავსი ნაშთები, ზოგიერთი ამხანაგის—კომუნისტის დამპალი ლიბერალიზმის მეოხებით, ცდილობენ შეაპარონ ბოლშევიზმის (ლენინიზმის) ისტორიაში ტროცკისტულ-მენშევიკური კონტრაბანდა.

კაპიტალიზმის განვითარების თავისებურობებმა რუსეთში, სადაც თავისებურად იყო გადაწყვეტილი კაპიტალიზმი და ბატონყმობა და იმ გარემოებამ, რომ კაპიტალიზმის განვითარების დროს რუსეთში, დაიწყო დასავლეთის ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტური სტადია, რამაც ჩამორჩენილი რუსეთიც ჩაითრია იმპერიალიზმის სფეროში—ხელი შეუწყვეს იმას, რომ რუსეთის მუშათა კლასი გამხდარიყო მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ავანგარდად, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობის ბელადი ვ. ი. ლენინი გამხდარიყო მუშათა მსოფლიო მოძრაობის ბელადად. ამიტომ ლენინიზმი (ბოლშევიზმი) თავიდანვე გამოდის, როგორც ინტერნაციონალური მოვლენა.

რაგეთსა, ესპანეთსა და პორტუგალიაში, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში კომინტერნი, ლენინიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, აწყდებოდა და აწყდება სხვადასხვა ფერის და ჯურის ანარქიზმს და ანარქოსინდიკალიზმს. ესპანეთის რევოლიუციამ დაიჩვენა თუ რა დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, რევოლიუციის გამარჯვების თვალსაწრისით, ეს ანარქო-სინდიკალისტური მიმდინარეობანი. მუშათა მასებში მათ გავლენის აღმოფხვრა წარმოადგენს ამ ქვეყნებში რევოლიუციის გამარჯვების საქმეო წინასწარ პირობას.

კოლონიალურ ქვეყნებში მასებისათვის ბრძოლაში, ნაციონალურ-რევოლიუციონურ, მოძრაობისათვის ბრძოლაში ლენინიზმი წააყენა მთელ რიგ მიმდინარეობებს და პარტიებს, რომელნიც არსებითად მტრულად არიან განწყობილი ლენინიზმის მიმართ, მაგალითად: სუნიათსენიზმი, განდიზმი და სხვა. ამ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები აწარმოებენ და უხლაც აწარმოებენ ბრძოლას ნაციონალ-რეფორმისტულ პარტიებთან როგორიცაა: ინდიეთის ნაციონალური კონგრესი, არაბეთის აღმასკომი, ეგვპტე და სხვა. ეს ბრძოლა ხანგრძლივად, ეს ბრძოლა სწარმოებს. იგი ჯერ კიდევ არ არის მოყვანილი ბოლომდე, მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია საბოლოო გამარჯვებისათვის. მაგრამ ლენინიზმი დაინერგა იმპერიალიზმის ძირითად კოლონიებში, მან იქ მიღწეულია და ეხლაც აღწევს უდიდეს გამარჯვებებს. ბრძოლა მასებისათვის, ბრძოლა მუშათა კლასის უმრავლესობისათვის, ბრძოლა პროლეტარიატის მეგემონიისათვის გლეხობის და სხვა მშრომელთა რევოლიუციონური ბრძოლა სწარმოება ყველა ქვეყნებში.

დროებითი სტაბილიზაციის პერიოდში ბურჟუაზიამ და მისმა სოციალ-ფაშისტურმა ლაქეებმა განავითარეს თეორიები კაპიტალიზმის მუდმივი აყვავების, კლასობრივი წინააღმდეგობათა შესუსტების, მშვიდობიანი განვითარების, კაპიტალიზმის არსებობის ხანგრძლივი პერიოდის და კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდის შესახებ. ბურჟუაზია და მისი სოციალ-ფაშისტური ლაქეები აგრეთვე ქადაგებდნენ სხვადასხვა თეორიებს იმის შესახებ, რომ სახელდობრ კაპიტალიზმის ძირითადი სტაბილიზაციის ნიადაგზე, რომ ეს ნიადაგი დაშვებულ სახეითა ისინი არ სცნობენ და არ სურთათ ცნონ, დროულობა, მოკვდება და სიდამშე შეახსენებს კომუნისტურ მოძრაობის მთელს მაზრებს. მათ გამოაცხადეს თეორია სახეითა კავშირში ს.კ. კ-ის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარების შესახებ, მათ გამოაცხადეს თეორია დასავლეთში, კომუნისტური მოძრაობის გახრწნის შესახებ, და იმის თეორია, რომ კომუნიზმი კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების პირობებში ვერ შეძლებს მტკიცე ნიადაგის დაპყრობას. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები გამოიხატებიან ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის ანტილენინური თეორიის მომხრე, რაც გამოიხატებოდა მაშინაც ლიკვიდაციის დროს, ახლა ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას. ამჟამად მოსტერ ტროცკი მოკავშირეობაში აწყარა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში სოციალ-ფაშისტებთან ერთად და მეთაურობს ბრძოლას სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის წინააღმდეგ.

მაგრამ მზავსი ცილისწამების რეციდივები გრძელდება. მოსტერ ტროცკის „შორს დამიზნების“ პოლიტიკას საკმაოდ მოხერხებულად ატარებენ ნიღაბაფარებული ტროცკისტები. (ვინაიდან ახლა მაკარა ტროცკისტად გამოსვეა შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, რომ ეს საშიშია, არამედ იმიტომაც, რომ ტროცკიზმი საბოლოოდ გამოაშკარავებულია და სახელგატეხილი მუშათა მასებს), ზოგიერთი კომუნისტის დამპალი ლიბერალიზმის და მათში ბოლშევიკური სიფხიზლის დაწლულების გამო, ისინი კოლ ტრაბანდას ატარებენ იმ ტროცკისტულ დებულებებს, რომ ლენინს მხოლოდ იმპერიალიზმის ეპოქის რევოლიუციის შესახებ მოეცა მისი გამარჯვება დასავლეთში აღსასრულის მოახლოების და ლენინიზმი ვერ შეეფარდება აღმოსავლეთში ახალ ეპოქას მსოფლიო იმპერიალიზმის ომის შედეგად დაბადა აზრი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის გარდასულ პერიოდის ტროცკისტული ფორმულა და ამ ქვეყნებში ომის ლიკვიდაციის დროს და ამ ქვეყნებში ომის ლიკვიდაციის დროს და ამ ქვეყნებში ომის ლიკვიდაციის დროს

საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობა

კამათი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გარშემო

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომაზე მოხსენებულ იქნა ამხ კ. ჩხენკელის მოხსენება სარედაქციო კომისიის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო კამათი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გარშემო.

ამხ. აფციაური

(თბილისი)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წევრის 31 ოქტომბრის დადგენილებამ გადაწყვეტი გარდატეხა მოახდინა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ჩვენ გავეცალეთ ნაძღეილი პოლშევიკური ბრძოლა დამეზერილი შეცდომების აღმოფხვრისათვის. არასთანავე ჩვენ ხელი ჩავიდებით ბელადის ქვესი მითითების ცხოვრებაში გატარებაში.

ამ მხრივ ჩვენ უთუოდ გვაქვს მიღწევები; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევებში არასაკმაო ენერგიით ტარდება ცხოვრებაში ამხ. სტალინის ისტორიული მნიშვნელობის მითითებანი, მაგალითად, თბილისის აგარის ქარხნებში დღემდე კიდევ ადგილი აქვს გარღვევებს. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებმა ვერ გაიგეს ამხ. სტალინის მითითების უდიდესი მნიშვნელობა საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლაში. ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევასაც:

ერთ საწარმოში განიზარხეს ხელადის სიმი მითითება გაეტარებინათ პირველ იანვრისდე და დარჩენილი სამი მითითება იანვრის შემდეგ. ასეთი მექანიკური მიდგომა უდიდესი მნიშვნელობის საკითხებისადმი, რომელნიც ორგანულად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, მოწმობს იმას, რომ აქა. სტალინის სიტყვა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ჯერ კიდევ საკმაოდ არა აქვეთ, შეთვისებული ყველა ჩვენს ძირა ორგანიზაციებს.

ამასთანავე, ამხანაგებო, ადგილი აქვს ჩამორჩენას სამინაო მშენებლობაში. ეს უმთავრესად აიხსნება მუშა-ხელის თავის დროზე მოუმარაგებლობით, შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობით და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩამორჩენის გამო ჩვენ ტყეებიან რაიონებში, არამედ ინდუსტრიულ ცენტრებში. მაგალითად უდიდესი მნიშვნელობის აქვს გრაფიკის გამომუშავების საკონტროლო მატერიალებისათვის. მაშინ თვითეული სადგურის უფროსს და ყოველ მშენებელს ეცოდინება როდის რა მატერიალი მოვა; მაშინ უკეთესად გავატარებთ გაუპირობების ლიკვიდაციას. მიუხედავად ამისა, დღე მდე არა აქვთ შეგნებული გრაფიკის გამომუშავების დიდი მნიშვნელობა მოძრაობის მოწესრიგებისათვის და ამიტომ მრავალი ადმინკოლეგები გვაქვს საქონლის მატარებლების მოძრაობაზე.

გაუპირობებს მოსპობას ორთქლმავლებზე დედან უშლის ხელს ის გარემოება, რომ ჩვენ არა გვაქვს ბინები მემანქანეებისათვის წარმოების ახლოს. ჩვენი მემანქანეები ცხოვრობენ ქალაქის სხვადასხვა ბოლოებში, მათ არ იციან როდის მოვა ორთქლმავალი; ამიტომ იძულებული ხდებიან ისხდნენ მუდმივ სახლში და ელოდონ შიკრიკის მისვლას.

ეს გვიორმებს დიდ დროს და ამასთანავე მეტად აფერხებს გაწყვეტილებული მგზავრობის განსორციელებას.

